კიბოს დიაგნოზის მქონე პაციენტთა გადარჩენისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. გამოჯანმრთელებულ ქალებში გადარჩენის მაღალი ალბათობის და ცხოვრების ნორმალური ხარისხის მიუხედავად, შვილოსნობის საკითხები დღემდე მეორეხარისხოვნად ითვლება. ბიოსამედიცინო მიდგომა კონცენტრირებულია გადარჩენის მაჩვენებელზე, ხოლო შვილოსნობის უნარი არ ითვლება ონკოლოგიური დაავადების მქონე ქალი პაციენტების მართვის მნიშვნელოვან კომპონენტად. ეს მარტივი ასახსნელია, ვინაიდან გადარჩენის მაღალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის უფრო მაღალ დოზებთან, რაც ერთი მხრივ განაპირობებს განკურნებას, ხოლო მეორე მხრივ შვილოსნობის უნარის დაკარგვას. თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდის სრული განვითარებისთვის, ასევე „ბედნიერებისა“ და „წარმატებულობის“ განცდისთვის საჭიროა ნებისმიერი მასშტაბის და სირთულის პირადი მიზნების მიღწევის შესაძლებლობა. ემოციურად ჯანმრთელი და სოციალიზებული ქალის ერთ-ერთი პარამეტრია ბავშვის გაჩენის პერსპექტივა და შესაძლებლობა. ანამნეზში ონკოლოგიური დაავადების მქონე ახალგაზრდა ქალებისთვის დამატებითი სტრესია თავიანთ შვილოსნობის უნარზე ფიქრი. ჯერჯერობით, შვილოსნობის უნარის შენარჩუნების არც ერთი ამჟამად ხელმისაწვდომი საშუალება არ იძლევა სრულ გარანტიას სამომავლოდ ფერტილურობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების ბიოლოგიური სიტყვების რეოლოგიური კვლევები, როგორცაა სისხლი, ლიმფა, პლაზმა და რეოლოგიური მონიტორინგი, აუცილებელია ქიმიოთერაპიის დაწყებამდე. თუ ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტებში დარღვეულია რეოლოგიური სტატუსი (ფორმიანი ელემენტების აგრეგაცია, დეფორმაცია და მედიუმის სიბლანტე), გონადოტოქსიკური ქიმიოთერაპიის დასრულების შემდეგ უშვილობის შესაძლებლობა იმატებს, ვინაიდან ის ხელს უწყობს საკვერცხეების ფუნქციის უკმარისობას. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია პაციენტის ინფორმირება

დონორის ოოციტის ან ემბრიონის გამოყენების შესახებ, თუ მას შვილების ყოლის სურვილი გაუჩნდება. თუმცა, ნორმალური რეოლოგიური სტატუსის შემთხვევაშიც, აუცილებელია პაციენტის ინფორმირება in vitro განაყოფიერების მეთოდის გამოყენების შესახებ, ემბრიონის შემდგომი გაყინვით, ვიდრე ქალი მზად არ იქნება ბავშვის გასაჩენად. ამგვარად, რეოლოგიური სტატუსი და ყველა რეოლოგიური კვლევა, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე მდგომარეობასთან, არის გარდამავალი რგოლი, რომელიც ჩართულია პაციენტების პერსონიფიკაციაში ქიმიოთერაპიის დანიშვნის დროს, ასევე მონაწილეობს ჯანდაცვის სტრატეგიაში კიბოს მქონე პაციენტების სოციალურ-ფსიქოლოგიური დაცვის კუთხით, უზრუნველყოფს რა სამომავლო ფერტილურობის სწორი მეთოდების შერჩევას. საკვანძო სიტყვები: შვილოსნობის უნარი, რეოლოგიური სტატუსი, სისხლის ნაკადი.

საძიებო სიტყვები: შვილოსნობის უნარი, რეოლოგიური სტატუსი, ქიმიოთერაპია, ემბრიონი, ინ ვიტრო განაყოფიერება, ფსიქოლოგიური დაცვა



ThermoFisher
S C I E N T I F I C

About Company

„ABM LTD” is one of the rapidly growing and reliable companies on the Georgian market since 2011. The principal activity of the company is the implementation of advanced laboratory equipment, furniture, accessories, reagents, and consumables for research and diagnostic purposes, in the laboratory field.

The company offers customers a reliable partnership in IVF field, professional support and timely delivery of products. By cooperating with us, our clients can solve complex tasks efficiently with minimal costs. On the local market, ABM represents a worldwide well-known brand such as Thermo Fisher Scientific & Astec



Our Brands

A long-term and stable relationship with manufacturing companies allows us to offer our customers a wide range of products.

For already 6 years ABM has been representing Thermo Fisher Scientific in Georgia – a leading American company in the world that provides laboratory equipment, research, and diagnostic test systems.

ThermoFisher
S C I E N T I F I C

nunc[™]
The Com

AB applied
biosystems[™]

invitrogen[™]

f fisher
scientific
by Thermo Fisher Scientific

B • R • A • H • M • S

ion torrent
by Thermo Fisher Scientific

ONE LAMBDA

unity
lab services

ACRÖS
ORGANICS

Thermo Fisher Scientific in turn combines several different brands, including:

- Thermo Scientific
- Nunc
- Applied Biosystems
- Invitrogen
- Fisher Scientific
- BRAHMS
- Ion Torrent
- One Lambda
- Unity Lab Services
- Acros Organics



ONCOFERTILITY-INTERNATIONAL EXPERIENCE, MODERN ACHIEVEMENTS AND CHALLENGES

KIKVADZE NINO^{1,2} KOCHUASHVILI NINO^{1,2} GABUNIA LUIZA^{3,4} GRIGALASHVILI KETEVAN⁵

¹ Tbilisi State Medical University, Faculty of Medicine, Tbilisi, Georgia

² Student Scientific-Research Club Endeavor of Scientific Research-Skills Center of TSMU, Georgia

³ Department of Medical Pharmacology of TSMU, Tbilisi, Georgia

⁴ Scientific Research-Skills Center of TSMU, Tbilisi, Georgia

⁵ Department of Obstetrics and Gynecology of TSMU The First University Clinic, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Fertility preservation is a relatively new era in the reproductive discipline, which was developed to preserve the potential for becoming parents of young patients at risk of sterility due to cancer treatment. Since the term “oncofertility” and the relatively small oncofertility consortium of research scientists and allied clinicians were organized in 2006, the group has become a robust and productive community from over 45 countries around the globe. Nowadays, as a concept, oncofertility describes an integral network focused on medical methods to spare or restore reproductive function in patients diagnosed with cancer.

Current female fertility preservation options include oocyte, the embryo (requiring sperm donor) and ovarian tissue cryopreservation, as well as suppression of the hypothalamic-pituitary-ovarian axis with gonadotropic-releasing hormone (GnRH) agonists. Despite the broad list of FP opportunities, this field still has some challenges. For example, in some cases, specific cancer diagnoses require urgent initiation of treatment, in which cryopreservation of oocytes or embryos risks delaying initiation of chemotherapy due to the time required to complete controlled ovarian hyperstimulation. What about the FP options for males? Post-pubertal male patients can undergo sperm banking. Oncologic testicular sperm extraction (TESE) is also available in patients who are unable to produce a semen sample or have aspermia, resulting in about 50% successful sperm retrieval. However, male patients also face some challenges.

Apart from the current achievements, some exciting research areas could be used for future investigations to improve FP options for patients. One of them is human in vitro gametogenesis

(IVG). IVG is the process of making gametes outside the body. IVG uses either 46XX or 46XY somatic cells to make an oocyte or sperm cell from those somatic cells in the lab and fertilizing them with gametes of the opposite biologic sex to make an embryo. The ability to generate gametes without the use of natural gametes presents a unique opportunity within reproductive medicine with particular applications for the field of oncofertility as well as for possible future opportunities of non-gamete dependent reproduction using induced pluripotent stem cells (iPSC).

Despite the existence of broad international guidelines, FP care is often unimplemented due to several barriers, which include a lack of referral pathways and models of care (MOC) for oncofertility services and collaboration between cancer and fertility doctors to deliver services, also inequitable access based on cost, in some countries a lack of trained staff who can deliver these services, no consensus about the best way to deliver information to patients, some ethical or religious issues, etc. however, to overcome these difficulties, modern models of care (MOC) are being developed and refined, focusing on several key domains, including communication, oncofertility decision aids, age-appropriate care, referral pathways, documentation, training, supportive care during treatment, reproductive care after cancer treatment, psychosocial support and ethical practice of oncofertility care.

Keywords: Oncofertility, fertility preservation, achievements, challenges

ონკოფერტილობა-საერთაშორისო გამოცდილება, თანამედროვე მიღწევები და გამოწვევები

ონკოფერტილობა შედარებით ინოვაციური მიმართულებაა რეპროდუქციულ დისციპლინაში, რომლის მიზანს წარმოადგენს ფერტილობის შენარჩუნების შესაძლებლობის მიცემა იმ პაციენტებისთვის, რომლებიც გადიან აგრესიულ ანტისიმსივნურ თერაპიას, რის გამოც დგანან სამომავლოდ შესაძლო სტერილობის საფრთხის წინაშე. ტერმინი „ონკოფერტილობა“ 2006 წლიდან დამკვიდრდა სამედიცინო პრაქტიკაში, ამ დროიდან აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მომუშავე ექსპერტთა, მკვლევართა და კლინიცისტთა ჯგუფი შეიქმნა, რომელთა მუშაობამ, ამ მიმართულების განვითარების მიზნით, მალევე გლობალურ მასშტაბებს მიაღწია. დღესდღეობით, ონკოფერტილობა წარმოადგენს კონცეფციას, რომელიც აღწერს სრულ ინტეგრალურ ქსელს, ორიენტირებულს იმ სამედიცინო მეთოდებზე, რომლებიც მიმართულია ონკოდიაგნოზის მქონე პაციენტებში რეპროდუქციული ფუნქციის დაზოგვისა და აღდგენისკენ. 96 ქალის რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნების თანამედროვე მეთოდები მოიცავს ოოციტების და/ან ემბრიო კრიოკონსერვაციას. შედარებით ახალ ექსპერიმენტულ მეთოდებს მიეკუთვნება საკვერცხის ქსოვილის კრიოკონსერვაცია, ხელოვნური საკვერცხის ინ ვიტრო მომწიფება, ასევე ჰიპოთალამუს-ჰიპოფიზ-საკვერცხეების ღერძულ სისტემაზე გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონის აგონისტთა (GnRH) ზემოქმედება. მიუხედავად ფერტილობის შენარჩუნების გზათა ვრცელი ჩამონათვალისა, დღესდღეობით, მაინც არსებობს გარკვეული გამოწვევები ამ მიმართულებით. ერთ-ერთ მათგანს ზოგიერთი სახის ონკოლოგიური დიაგნოზის დადასტურებისას დროის გამოხატული

სიმცირე წარმოადგენს. ვინაიდან, კვერცხუჯრედის ან ემბრიონის კრიოკონსერვაცია მოითხოვს გარკვეულ დროს საკვერცხეების კონტროლირებადი ჰიპერსტიმულაციის დასრულებისთვის, შეიძლება შეფერხდეს ქიმიოთერაპიის დროული დაწყება. რაც შეეხება რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნებას მამაკაცებში, პოსტპუბერტული ასაკის პაციენტებში აქტიურად გამოიყენება სპერმის ბიობანკინგი. ხოლო იმ პაციენტებისთვის, რომლებთანაც გამოხატულია ოლიგო-, აზო – ან ასპერმია მიღებულია სათესლე ჯირკვლებიდან სპერმის ექსტრაქციის პრაქტიკა (TESE). მიუხედავად ამ მეთოდების მაღალეფექტურობისა, გარკვეული გამოწვევები ამ მიმართულებითაც ჯერ კიდევ არსებობს. გარდა არსებული მიღწევებისა, დღესდღეობით, რეპროდუქციული ფუნქციის შესანარჩუნებლად რამდენიმე მეთოდი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. პრაქტიკაში დასაწერად, მართალია, ისინი საჭიროებენ სამომავლო კვლევებს, თუმცა ერთ-ერთ მათგანზე შეგვიძლია უკვე გავამახვილოთ ყურადღება. ეს განსაკუთრებით ვიტრო გამეტოგენეზის მეთოდი (IVG), რომელიც წარმოადგენს სომატური უჯრედებიდან გამეტების (სასქესო უჯრედების) შექმნის შესაძლებლობას ადამიანის ორგანიზმის გარეთ (in vitro), შემდგომ კი, საჭიროების შემთხვევაში, მათ განაყოფიერებას ემბრიონის მისაღებად. აღნიშნული დიდ სიახლეს წარმოადგენს, არა მხოლოდ ონკოფერტილობის მიმართულებით, არამედ იგი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, სამომავლოდ, ინდუცირებული პლურიპოტენტული უჯრედების გამოყენებით სქესობრივი უჯრედებისგან დამოუკიდებლად რეპროდუქციული ფუნქციის შენარჩუნებისთვის. რაც შეეხება ფერტილობის შესანარჩუნებლად პაციენტებისთვის თანამედროვე სერვისების მიწოდების საკითხს, მიუხედავად საერთაშორისო გაიდლაინების და უკვე შემუშავებული მიდგომების (Model of Care) ვრცელი სიისა, ამ მიმართულებით გარკვეულ ბარიერებს სხვადასხვარეგიონშიმეტ-ნაკლებად მაინცვაწყლებით. ერთ-ერთისაყურადღებოსაკითხი მათგან ონკოლოგებსა და რეპროდუქტოლოგებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაა, რაც აფერხებს პაციენტებისთვის ფერტილობის შესანარჩუნებლად უკვე დანერგილი მეთოდების შესახებ დროული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, მკურნალობის საკმაოდ მაღალი ღირებულება ხშირად არახელმისაწვდომს ხდის მას ბევრი ონკოპაციენტისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ, სამწუხაროდ, ამ ტიპის სამედიცინო სერვისებს ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიებიც არ აფინანსებენ. მკურნალობის აღნიშნული მეთოდების დანერგვას ზოგიერთ რეგიონში მოსახლეობის რელიგიური შეხედულებებიც უშლის ხელს. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად აქტიურად მუშავდება და იხვეწება პაციენტებთან კომუნიკაციისა და მათზე ზრუნვის თანამედროვე მიდგომები (MOC), რომელთა მიზანს ისეთი საკვანძო საკითხების მოგვარება და გადაჭრა წარმოადგენს, როგორებიცაა: კომუნიკაციის ნაკლებობა სხვადა- 97 სხვა პროფილის ექიმებს შორის და დაგვიანებული რეფერალი, პაციენტთა ამომწურავი ინფორმირების პრობლემა, ასაკის შესაბამისი მკურნალობის მეთოდის სწორად შერჩევა, სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმის ხარისხი, პაციენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა მკურნალობის პროცესში, ეთიკური პრინციპების სრულად დაცვა და სხვ. საკვანძო სიტყვები: ონკოფერტილობა, ფერტილობის შენარჩუნება, მიღწევები, გამოწვევები.

ავტორები:

- ნინო კიკვაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი
- ნინო კოჩუაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი
- ლუიზა გაბუნია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის ასოცირებული პროფესორი, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი
- ქეთევან გრიგალაშვილი – ექიმი მუან-გინეკოლოგი, თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის პერინატოლოგიის მიმართულების გინეკოლოგიის განყოფილების გამგე.

საძიებო სიტყვები: ონკოფერტილობა, ფერტილობის შენარჩუნება, კვერცხუჯრედის კრიოკონსერვაცია, ონკოლოგიური დიაგნოზი, რეპროდუქციული ფუნქცია, სპერმის ბიო-ბანკინგი, ინ ვიტრო გამეტოგენეზი.

MANAGEMENT OF CERVICAL GLANDULAR INTRAEPITHELIAL NEOPLASIAS OF IVF PATIENTS

NINO MUSERIDZE, MD, PhD, Prof.¹ JUGELI B., MD,¹ JUGELI M., MD, PhD²

¹ Georgian-German Reproduction Center, Tbilisi, Georgia

² Caraps Medline, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Introduction

Benign and malignant cervical glandular neoplasias can be differentiated with immunohistochemical methods by using different monoclonal antibodies. Cytological classification is always written as AGUS, but differentiation with CGIN I, II, and III will make it easier to identify and manage each patient.

AIM

Our study aimed to identify immunohistochemical diagnostic criteria for cervical glandular intraepithelial Neoplasias (CGIN), reveal malignancy risk, and observe patients at risk during in vitro fertilization.

METHOD

We examined 117 women (age 39-43) with cytological diagnosis of atypical endocervical cells. These patients were divided into three groups based on the grade of the lesion: 35 patients with CGIN1 (group I), 72 patients with CGIN2 (group II) 28 patients with CGIN3 (group III). During CGIN3, office hysteroscopy and subsequent stimulation of in vitro patients occurred, while during CGIN1-CGIN2, direct stimulation and subsequent control 99 were performed. Follow-up material obtained by operhysteroscopy was examined by hematoxylin-eosin and immunohistochemistry using monoclonal antibodies against Ki-67, EpAg, MNF116, CEA, EMA, and P16. We used our histological algorithm. p16 was positive in – 40% during CGIN3.

CONCLUSIONS

The results suggest that evaluating a cervical glandular intraepithelial neoplasia grade should be based on histological and immunohistochemical studies. The morphometric algorithm should include the following criteria: type of lining epithelium (cubical, columnar), nuclear cytoplasmic index (1, =1), stratification, hyper – and hypochromasia, size and amount of nucleoli, and stromal – parenchymal ratio. The immunohistochemical study should include the expression of proliferation marker (Ki-67), carcinoembryonic antigen (CEA)and Epithelial Antigen (EpAg). We recommend the classification of CGIN into three types: low-grade cervical glandular intraepithelial neoplasia (CGIN 1), medium-grade CGIN2, and high-grade cervical glandular intraepithelial neoplasia CGIN 3.

RESULTS

The comparative analysis of immunohistochemical results showed that expression of Ki-67 is seen in CGIN 2 and significantly increased in CGIN3 (p<0.05).

Keywords: Cervical glandular intraepithelial neoplasia, CGIN, immunohistochemistry, Ki-67, p16, CEA, in vitro fertilization.




Fig. 1. Clinical Data







Fig. 2. Clinical complains



Pic. 1. CGIN1-EpAg



Pic. 2. CGIN2-EpAg



Pic. 3. CGIN 3-EpAg

	ECCIN 1 (n=36)	ECCIN 2 (n=72)	ECCIN 3 (n=28)
Central	17.67	21.22	24.86
Mitosis	0.11	0.67	1.14
The redistribution of chromatin is rough	2.89	5.06	13.43
The redistribution of chromatin is tender	23.67	22.39	14.86
The redistribution of the chromatin is papilar	0	0.94	0.43
Rosettes	0	0.11	0.43
N/C decreased	15	6.89	8.7
N/C normal	8.22	13.94	15.71
N/C increased	1.89	7.78	10.57
Hyperchromatosis	13.11	9.1	17.14
Hypochromatosis	14.89	14.56	4.86

Table 1. Differential diagnostic criteria of atypical glandular cells.

ACKNOWLEDGEMENT

We would like to thank GGRC Georgian-German Reproductive Center, Caraps Medline, and Tbilisi State Medical University for their research opportunity, assistance, and support throughout the research period.

REFERENCES

1. Cameron RI, Maxwell P, Jenkins D, McCluggage WG. Immunohistochemical staining with MIB1, bcl2 and p16 assists in the distinction of cervical glandular intraepithelial neoplasia from tubo-endometrial metaplasia, endometriosis and microglandular hyperplasia. *Histopathology*. 2002; 41(4): 313-321.
2. Bonds L, Baker P, Gup C, Shroyer KR. Immunohistochemical localization of cdc6 in squamous and glandular neoplasia of the uterine cervix. *Arch Pathol Lab Med*. 2002; 126(10): 1164-1168.
3. Brown LJR, Wells M. Cervical glandular atypia associated with squamous intraepithelial neoplasia: A premalignant lesion? *J Clin Pathol*. 1986; 39: 22-28.
4. Brumm C, Riviere A, Wilckens C, Loning T. Immunohistochemical investigation and northern blot analysis of cerB-2 expression in normal, premalignant, and malignant tissues of the corpus and cervix uteri. *Virchows Arch A Pathol Anat Histopathol*. 1990; 417(6): 477-484.
5. Liao SY, Stanbridge EJ. Expressing MN/CA9 protein in Papanicolaou smears containing atypical glandular cells of undetermined significance is a diagnostic biomarker of cervical dysplasia and neoplasia. *Cancer*. 2000; 88(5): 1108-1121.
6. Riethdorf L, O’Connell JT, Riethdorf S, Cviko A, Crum CP. Differential expression of MUC2 and MUC5AC in benign and malignant glandular lesions of the cervix uteri. *Virchows Arch*. 2000; 37(4): 365-371.

7. Farley J, Gray K, Nycum L, Prentice M, Birrer MJ, Jakowlew SB. Endocervical cancer is associated with an increase in the ligands and receptors for transforming growth factor-beta and a contrasting decrease in p27 (Kip1). *Gynecol Oncol.* 2000; 78(2): 113-122.

საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი ინტრაეპითელური ნეოპლაზიების მართვის მენეჯმენტი ინ ვიტრო კაციენტებში

შესავალი საშვილოსნოს ყელის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი ჯირკვლოვანი დაზიანების დიფერენციატა შესაძლებელია იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებით, სხვადასხვა ანტიგენის საწინააღმდეგო მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით. რადგანაც ციტოლოგიურ კვლევაში ციტოლოგიური კლასიფიკაციით ყოველთვის იწერება – AGUS, დიფერენცირება – CGIN I, II, III გააადვილებს თითოეული პაციენტის დიაგნოზის ზუსტ იდენტიფიცირებას და შემდგომ მენეჯმენტს. მიზანი ჩვენი კვლევის მიზანი იყო საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი ინტრაეპითელური ნეოპლაზიების (CGIN) იმუნოჰისტოქიმიური დიაგნოსტიკური კრიტერიუმების იდენტიფიცირება და ავთვისებიანი სიმსივნის რისკის გამოვლენა. ასევე დაკვირვება რისკის მქონე პაციენტების ინ ვიტრო განაყოფიერებისას. მეთოდი ჩვენ გამოვიკვლიეთ ატიპური ენდოცერვიკალური უჯრედების ციტოლოგიური დიაგნოზით 117 ქალი. ასაკი 39-43 წელი, ეს პაციენტები დაიყო სამ ჯგუფად დაზიანების ხარისხის მიხედვით: 35 პაციენტი CGIN1-ით (I ჯგუფი) 72 პაციენტი CGIN2 – ით (II ჯგუფი) 28 პაციენტი CGIN3-ით (III ჯგუფი) CGIN3-ის ის დროს მოხდა საოფისე ჰისტეროსკოპია და შემდგომი სტიმულაცია ინ ვიტროს პაციენტებში, ხოლო CGIN1-CGIN2-ის დროს პირდაპირ სტიმულაცია და შემდგომი კონტროლი. ოფისისტეროსკოპიით მიღებული შემდგომი მასალა გამოკვლეული იყო ჰემატოქსილინ-ეოზინის და იმუნოჰისტოქიმიის მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით Ki-67, EpAg, MNF116, CEA, EMA-ს P16 მიმართ. ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენ მიერ შექმნილი ჰისტოლოგიური ალგორითმი. p16 – 40%-ში დადებითი იყო CGIN3 ის დროს. შეჯამება შედეგები ვარაუდობს, რომ საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი ინტრაეპითელური ნეოპლაზიის ხარისხის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ჰისტოლოგიურ და იმუნოჰისტოქიმიურ კვლევებს. ჩვენ გირჩევთ CGIN-ის კლასიფიკაციას სამ ტიპად: დაბალი ხარისხის საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი ინტრაეპითელური ნეოპლაზია – (CGIN 1) და საშუალო 102 ხარისხის საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი ინტრაეპითელური ნეოპლაზია – CGIN 2 და მაღალი ხარისხი – CGIN 3. შედეგები იმუნოჰისტოქიმიური გამოკვლევით დადგინდა, რომ ჯირკვლოვანი ეპითელიუმის ატიპიის ხარისხის ზრდის პარალელურად იცვლება შემდეგი მარკერების ექსპრესია: პროლიფერაციის მარკერის Ki-67-ის ექსპრესია იწყება CGIN2 – ის შემთხვევაში და მნიშვნელოვნად ძლიერდება CGIN 3-ის შემთხვევაში CGIN2-თან შედარებით, ის 3-ჯერ მეტია და ახასიათებს ძლიერი პოზიტიურობა.

საძიებო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (CGIN), იმუნოჰისტოქიმია, მონოკლონური ანტისხეულები, ჰისტოლოგიური ალგორითმი, Ki-67, P16, ავთვისებიანი სიმსივნე

PREMIUM PREIMPLANTATION GENETIC TESTING SOLUTIONS FOR CONFIDENT ANALYSIS OF EMBRYO ANEUPLOIDY AND BEYOND

RICO ALAIN

*Senior Global Market Development Manager
Clinical Sequencing Solutions, Paris, France*

SUMMARY

Infertility is a global issue, and genomics can help to resolve it. In 2023, according to the World Health Organization, 1 in 6 people experience infertility, and complications increase with maternal age, leading to 5 million babies born via assisted reproduction. In this presentation, we will discuss the reproductive health solutions for genetic analysis available to help understand the root cause of infertility and the risk of transmitting genetic disorders or cancer. Aneuploidies and other chromosomal aberrations in blastocyst embryos are common, even in young women, with only a tiny percentage of aneuploid embryos surviving until birth. In women of advanced maternal age, the rate of embryos with abnormal chromosomal status increases up to circa 80% at age 47. And the percentage of failed cycles follows the same trend, primarily due to failed implantation or miscarriage. Screening for abnormal chromosomal events is crucial in helping couples be fertile. In addition, current reproductive health solutions based on next-generation sequencing allow for combining preimplantation genetic analysis of aneuploidies with the analysis of monogenic disorders carriers and their impact on offspring. The same methodology can be applied to the study of cancer predisposition genes and fertility preservation in the context of cancer.

Keywords: Infertility, genomics, aneuploidies, preimplantation genetic testing, next-generation sequencing, reproductive health, cancer predisposition

მაღალი ხარისხის პრეიმპლანტაციური გენეტიკური ტესტირების შედეგების სანდოობის ანალიზი ემბრიონის ანეუპლოიდიის და სხვა დარღვევებისათვის

უნაყოფობა წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, მისი მიზეზების დადგენაში შესაძლებელია გენების და ქრომოსომების გენეტიკური ტესტირების კვლევამ დიდი როლი შეასრულოს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, 2023 წელს 6-დან 1 ადამიანს აღენიშნებოდა უნაყოფობა, რომლის რაოდენობაც მატულობს დედის ასაკთან ერთად, რამაც თავის მხრივ განაპირობა, რომ დაახლოებით 5 მილიონი ახალშობილი დაიბადა რეპროდუქციის დამხმარე მეთოდების გამოყენებით. წინამდებარე პრევენტაციაში განხილულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში გენეტიკური ტესტირების მნიშვნელობა უნაყოფობის, ასევე გენეტიკური დარღვევების ან კიბოს გადაცემის რისკის ძირეული მიზეზების დადგენაში. ანეუპლოიდია და სხვა ქრომოსომული აბერაციები ხშირია ემბრიონის ბლასტოცისტის სტადიაზე, მათ შორის ახალგაზრდა ქალებშიც, თუმცა ანეუპლოიდიის მქონე ემბრიონების მხოლოდ მცირე ნაწილი სრულდება ცოცხლადშობადობით. მაღალი რეპროდუქციული ასაკის ქალებში, 47 წლისათვის პათოლოგიური ქრომოსომული სტატუსის მქონე ემბრიონის განვითარების პროცენტული წილი იზრდება და დაახლოებით 80%-ს აღწევს. იგივე ტენდენცია აღინიშნება წარუმატებელი ინ ვიტრო ციკლების დროსაც, რაც განაპირობებს წარუმატებელ იმპლანტაციას ან სრულდება აბორტით მცირე ვადაზე. შესაბამისად, პრეიმპლანტაციური ქრომოსომული სკრინინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ტესტს წყვილების ფერტილობის ტესტირებისთვის. გარდა ამისა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში არსებული საშუალებები, რომლებიც ეფუძნება ახალი თაობის სექვენირებას, იძლევა პრეიმპლანტაციური გენეტიკური ანალიზისა და მონოგენური დარღვევების მტარებლობისა და შთამომავლობაზე მისი გავლენის ანალიზის კომბინირების საშუალებას. იგივე მეთოდოლოგიის გამოყენება შესაძლებელია კიბოს წინასწარგანწყობის გენების ანალიზისა და კიბოს დროს ფერტილურობის შენარჩუნებისათვის.

საძიებო სიტყვები: პრეიმპლანტაციური გენეტიკური ტესტირება, უნაყოფობა, ანეუპლოიდია, ქრომოსომული აბერაციები, ბლასტოცისტის სტადია, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ინ ვიტრო ციკლები

PHILOSOPHY OF SEXUAL AGING AND DYSFUNCTION

JUGHELI MADONA, MD, PhD, Prof.

IFCPC-IARC and UNFPA international trainer, Clinic Caraps Medline, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Sexual health is an essential part of general health, particularly in ageing men, women, and couples. It is determined by a complex interaction of the individual partners' biological, psychological, and sociocultural factors and their sexual and intimate interaction in the relationship. Sexual difficulties and problems need, therefore, a biopsychosocial approach in diagnosis and therapy. For the individual, the diagnosis includes the sexual history to clarify and define the problem and the medical and psychosocial history. Problems and resources of the couple are assessed by inviting both partners to the consultation. Various therapeutic strategies are now available, and all of them should be applied in the framework of a comprehensive therapeutic concept. This concept includes listening, information, and education in a respectful and accepting atmosphere. Medical interventions, ranging from systemic and local hormones to drugs interacting with sexual neurophysiology, may be indicated, as well as various psychosexual therapies. It's important to note that these therapies are not one-size-fits-all. They have to be tailored to the individual and the couple, ensuring that each patient receives the personalized care they deserve.

Keywords: Sexual health, ageing, biopsychosocial approach, sexual difficulties, therapeutic strategies, personalized care, psychosexual therapies

სექსუალური დაბერებისა და დისფუნქციის ფილოსოფია

სექსუალური ჯანმრთელობა წარმოადგენს ზოგადი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან ნაწილს, მათ შორის ხანდაზმულ მამაკაცებში, ქალებსა და წყვილებში. სექსუალური ჯანმრთელობა განისაზღვრება ცალკეული პარტნიორის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედებითა და ურთიერთობაში მათი სექსუალური და ინტიმური ურთიერთქმედებით. ამიტომ სექსუალური სირთულეებისა და პრობლემების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისას საჭიროა ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომა. ცალკეული ინდივიდის პრობლემაში გარკვევისა და მისი დაზუსტების მიზნით დიაგნოზი მოიცავს სექსუალურ, სამედიცინო და ფსიქო-სოციალურ ანამნეზს. წყვილის პრობლემები და რესურსები ფასდება კონსულტაციაზე პარტნიორის მოწვევით. ამჟამად ხელმისაწვდომია მკურნალობის რამდენიმე სტრატეგია, ყველა მათგანი უნდა იქნას გამოყენებული კომპლექსური მკურნალობის კონცეფციის ფარგლებში. ეს მოიცავს მოსმენას, ინფორმაციის მიწოდებას და განათლებას თავაზიან და მისაღებ ატმოსფეროში. შესაძლებელია ნაჩვენები იყოს მედიკამენტოზური ჩარევა, დაწყებული სისტემური და ადგილობრივი ჰორმონებით და დამთავრებული პრეპარატებით, რომლებიც მოქმედებენ სექსუალურ ნეიროფიზიოლოგიაზე, ასევე სხვადასხვა სახის ფსიქოსექსუალური თერაპია, რომელიც ადაპტირებული უნდა იყოს ინდივიდზე და წყვილზე.

საძიებო სიტყვები: სექსუალური ჯანმრთელობა, ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომა, ინტიმური ურთიერთობები, დიაგნოზი, მკურნალობის სტრატეგიები, ფსიქოსექსუალური თერაპია, სექსუალური პრობლემები

OVARIAN TISSUE CRYOPRESERVATION FOR ONCO GYNAECOLOGICAL PATIENTS

BIROL AYDIN, MD

Ovogene, Bratislava, Slovakia

SUMMARY

Ovarian Tissue Freezing: Is that an Emerging Option for Fertility Preservation? Ovarian tissue freezing (cryopreservation) is essential in fertility preservation methods. In patients who need to start gonadotoxic treatments without delay, there is often no time required for ovulation induction, oocyte retrieval, oocyte or embryo freezing. Similarly, ovulation induction cannot be an alternative in prepubertal girls. Additionally, ovarian tissue freezing is a good alternative to preserve fertility in blood diseases such as sickle cell anemia, thalassemia major, aplastic anemia requiring bone marrow transplantation, in immune system diseases such as SLE and rheumatoid arthritis that do not respond to immunosuppressive treatment, in premature ovarian failure cases such as Turner syndrome, and in benign ovarian diseases that require surgery such as endometriosis. It is necessary to work according to a particular protocol for the ovarian tissue to be successfully frozen and to function with a successful transplantation after thawing. The reliability of the technique has increased, especially with the successful freezing of the ovarian tissue with the vitrification method. Transplantation of ovarian tissue in sufficiently large numbers is still not performed. The most important reason is that the procedure requires profound experience and clinical experience. In the results obtained from the ovarian tissues that were frozen and thawed since the beginning of the 2000s, it was observed that the vitality rate was very high and that it fulfilled its functions in the body after transplantation. In the first study conducted on humans, frozen and stored ovarian tissue particles were thawed under appropriate conditions and placed into the peritoneal pocket created in the fossa ovarian by the laparoscopic 108 methods. Follicle development, estrogen, and progesterone increase were detected with gonadotropin stimulation about 15 weeks after the operation. Hormonal activity in this first case continued for about ten months. Any condition that threatens the ovarian reserve and reduces the chances of future

fertility may be an indication of ovarian tissue freezing. In addition, it can be preferred over other fertility preservation methods due to its advantages, such as not causing any delay in cancer treatments, being used in prepubertal cases, not requiring a partner, enabling the preservation of many primordial follicles without the need for ovarian stimulation, and restoring endocrine functions. Vitrification is a method to minimize cell damage due to ice crystal formation by extremely rapid cooling using a high concentration of cryoprotectant. The survival rate obtained from ovarian tissues after thawing is over 90%, and more than 140 live births were specified after ovarian tissue transplantation in the reports mentioned since 2004. Compared with fresh ovarian tissue, vitrified ovarian tissue has a better effect on ovarian function and follicular development. In conclusion, ovarian tissue freezing has been vital in preserving fertility, especially in oncological patients. Particularly during the removal of tissues, performing the procedure very carefully, taking the right tissues, thoroughly cleaning the tissue cortices to be frozen, cutting them in the right proportions, and storing them in special vials without any damage will increase the success of transplantation.

Keywords: Ovarian tissue freezing, fertility preservation, vitrification, oncological patients, ovarian transplantation, cryopreservation, primordial follicles

საკვერცხის ქსოვილის კრიოკონსერვაცია ონკოგინეკოლოგიური პაციენტებისთვის

საკვერცხის ქსოვილის გაყინვა: წარმოადგენს თუ არა ის შვილოსნობის უნარის შენარჩუნების ახალ საშუალებას? საკვერცხის ქსოვილის გაყინვას (კრიოკონსერვაცია) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შვილოსნობის უნარის შენარჩუნების მეთოდებს შორის. პაციენტებში, რომლებსაც ესაჭიროებათ გონადოტოქსიური მკურნალობის დაუყოვნებლივ დაწყება, ხშირად არ რჩება საჭირო დრო ოვულაციის ინდუქციისთვის, ოოციტის აღებისთვის, ოოციტის ან ემბრიონის გაყინვისთვის. ასევე, ოვულაციის სტიმულაცია არ წარმოადგენს ალტერნატივას პრეპუბერტალური ასაკის გოგონებში. გარდა ამისა, საკვერცხის ქსოვილის გაყინვა წარმოადგენს კარგ საშუალებას შვილოსნობის უნარის შესანარჩუნებლად სისხლის დაავადებების დროს, როგორცაა ნამგლისებრუჯრედოვანი ანემია, თალასემია, აპლასტიკური ანემია, რომელიც საჭიროებს ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას, იმუნური სისტემის დაავადებების დროს, როგორცაა სისტემური წითელი მგლურა (SLE) და რევმატოიდული ართრიტი, რომლებიც არ რეაგირებენ იმუნოსუპრესიულ მკურნალობაზე, საკვერცხის ნაადრევი უკმარისობის შემთხვევებში, როგორცაა ტერნერის სინდრომი და საკვერცხის კეთილთვისებიანი დაავადებები, მაგალითად, ენდომეტრიოზი, რომლებიც საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას. იმისათვის, რომ საკვერცხის ქსოვილი წარმატებით გაიყინოს და გადღობის შემდეგ წარმატებული ტრანსპლანტაციისას ფუნქციონირებდეს, აუცილებელია მუშაობა სპეციალური პროტოკოლის მიხედვით. ტექნიკის სანდოობა განსაკუთრებით გაიზარდა საკვერცხის ქსოვილის ვიტრიფიკაციის მეთოდით წარმატებული გაყინვის შემდეგ. ჯერ კიდევ არ ჩატარებულა საკვერცხის ქსოვილის საკმარისად დიდი რაოდენობით გადანერგვა. ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია ის, რომ პროცედურა საჭიროებს

სერიოზულ კლინიკურ გამოცდილებას. 2000-იანი წლების დასაწყისიდან გაყინული და გამლღვალი საკვერცხის ქსოვილებიდან მიღებულ შედეგებში დაფიქსირდა, რომ სიცოცხლისუნარიანობა იყო ძალიან მაღალი და ის ასრულებდა თავის ფუნქციებს ორგანიზმში ტრანსპლანტაციის შემდეგ. საკვერცხის ქსოვილის გაყინვის ჩვენებას წარმოადგენს ნებისმიერი პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საკვერცხის რეზერვს და აქვეითებს სამომავლოდ შვილოსნობის უნარს. გარდა ამისა, მას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა შვილოსნობის უნარის შენარჩუნების სხვა მეთოდებთან შედარებით მისი უპირატესობების გამო, მაგალითად, არ ფერხდება კიბოს მკურნალობა, გამოიყენება პრეპუბერტალურ შემთხვევებში, არ საჭიროებს პარტნიორის, მრავალი პირველადი ფოლიკულის შენარჩუნების შესაძლებლობას საკვერცხის სტიმულაციის გარეშე, და ენდოკრინული ფუნქციების აღდგენა. ვიტრიფიკაცია წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებითაც მინიმუმამდე მცირდება უკიდურესად სწრაფი გაცივების გამო წარმოქმნილი ყინულის კრისტალებით გამოწვეული უჯრედის დაზიანება, რომელიც იყენებს კრიოდამცავის მაღალ კონცენტრაციას. გაღობის შემდეგ საკვერცხის ქსოვილებიდან მიღებული გადარჩენის მაჩვენებელი 90%-ზე მეტია, ხოლო 2004 წლიდან გაკეთებული მოხსენებების მიხედვით, საკვერცხის ქსოვილის ტრანსპლანტაციის შემდეგ დაფიქსირდა 140-ზე მეტი მშობიარობა ცოცხალი ნაყოფით. საკვერცხის გაუყინავ ქსოვილთან შედარებით გაყინული ქსოვილი უკეთეს გავლენას ახდენს საკვერცხის ფუნქციასა და ფოლიკულის განვითარებაზე.

საძიებო სიტყვები: კრიოკონსერვაცია, შვილოსნობის უნარის შენარჩუნება, ოვულაციის სტიმულაცია, ვიტრიფიკაცია, საკვერცხის ქსოვილის ტრანსპლანტაცია, გონადოტოქსიური მკურნალობა, ენდოკრინული ფუნქციის აღდგენა

LL Group

ONLY THE HIGHEST



LLGroup LTD is a pharmaceutical distributor company that was established in 2010 in Tbilisi. LLGroup LTD is a licensed distributor of medical pharmaceuticals including prescription and OTC products and natural health products. From 2010 LLGroup actively imports and distributes products as follows:

PHARMACEUTICAL PRODUCTS:



Injectable;



Suppositories;



Tablets/Capsules.



Food supplements.

LLGroup LTD has significant capabilities to provide end-to-end service to international partners looking to expand their business in Georgia.

Working groups are: **Gynecology, Reproductology, Urology, Andrology, Gastroenterology, and lately added - pediatric line.**

QUALITY PRODUCTS!

LLGroup is an exclusive distributor of Lenus Pharma products:
the 1st study proven fertility pills- Profertil and Profertil Female.



With all employees working together as a single team, the company strives to develop pharmaceutical and healthcare industry by continuing to launch products that meet market needs and better serve its partners and customers.

OUR COMPETITIVE ADVANTAGES ARE:

- Satisfied existing customers and strong reputation;
- Close business network in leading company shareholders and executive team;
- Highly qualified and motivated team.

LLGROUP PRODUCTS CAN BE FOUND IN THE FOLLOWING PLACES:



PHARMACY

Vazha-Pshavela ave. N7
Tbilisi, Georgia
T: 032 223 81 07
+995 599 900 347



WEB-SITE

www.llgroup.ge
www.profertil.ge



FACEBOOK

www.llgroup.ge
LLGroup - ელელგრუპი

GONADOTOXICITY OF ONCOLOGICAL TREATMENT AND GONADOTOXIC PROTECTION

HALASKA MICHAEL, MD, PhD, Prof.

Department of OB/GYN, 3rd Medical Faculty, Charles University and University Hospital Kralovske Vinohrady, Prague, Czech Republic

SUMMARY

Cancer itself and oncological treatment have an impact on ovarian function. Several effects have been described apart from adnexectomy and hysterectomy: reduction of the ovarian reserve, disturbed hormonal balance, anatomic or functional changes to the ovaries, uterus, cervix or vagina. Depending on age, pre-treatment ovarian reserve and type of treatment, chemotherapy has highly variable gonadotoxic effects. During chemotherapy, a concurrent administration of GnRH agonist is the only confirmed strategy to protect ovaries. Radiation exposure causes a reduction in the number of ovarian follicles. Moreover, it affects uterine and endometrial function. The gonadotoxic effect of radiotherapy depends on the radiation field, dose and fractionation. To protect ovaries from radiotherapy: transposition of the ovaries before radiotherapy and gonadal shielding during radiotherapy are available.

Keywords: Ovarian function, oncological treatment, chemotherapy effects, GnRH agonist, radiation exposure, ovarian follicles, gonadal shielding

კიბოს საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებების გონადოტოქსიკურობა და საკვერცხეების დაცვა მათი გონადოტოქსიური ზემოქმედებისაგან

კარგადაა ცნობილი, რომ კიბო და კიბოს საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები გავლენას ახდენს საკვერცხის ფუნქციაზე. აღნეუსექტომიასა და ჰისტერექტომიის გამო აღინიშნება: საკვერცხეების მარაგის შემცირება, ჰორმონალური ბალანსის დარღვევა,

საკვერცხეების, საშვილოსნოს, საშვილოსნოს ყელის ან საშოს ანატომიური ან ფუნქციური ცვლილებები. ასაკის, მკურნალობამდე არსებული საკვერცხის მარაგისა და სამკურნალო ქიმიოთერაპიული პრეპარატების ტიპის გათვალისწინებით, ქიმიოთერაპიას გააჩნია საკმაოდ ვარიაბელური გონადოტოქსიკური მოქმედება. ქიმიოთერაპიის დროს გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონის (GnRH) აგონისტის თანმხლები მიღება წარმოადგენს საკვერცხეების დაცვის ერთადერთ დამტკიცებულ სტრატეგიულ საშუალებას. სხივური თერაპია ასევე იწვევს საკვერცხის ფოლიკულების რაოდენობის შემცირებას. გარდა ამისა, ის გავლენას ახდენს საშვილოსნოსა და ენდომეტრიუმის ფუნქციაზე. სხივური თერაპიის გონადოტოქსიკური ეფექტი დამოკიდებულია დასხივებულ ზონაზე, დასხივების დოზასა და ფრაქციაზე. სხივური თერაპიისგან საკვერცხეების დასაცავად შესაძლებელია: სხივურ თერაპიამდე საკვერცხეების ტრანსპოზიცია, ხოლო სხივური თერაპიის დროს გონადების დამცავის გამოყენება.

საძიებო სიტყვები: კიბოს საწინააღმდეგო თერაპია, საკვერცხეების ფუნქცია, ჰორმონალური ბალანსი, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონი, აღნეუსექტომია

FERTILITY PRESERVATION IN BREAST CANCER PATIENTS – ESMO GUIDELINE AND NEW FINDINGS – ONCOLOGIST’S PERSPECTIVE

MARIAMIDZE ELENE, MD

Todua Clinic Department of Oncology and Hematology, Tbilisi, Georgia

SUMMARY

In recent years, breast cancer survivorship has been an emerging issue in medicine, with growing concerns for safety and feasibility of following up with patients’ pre-cancer-diagnosis family plan. In premenopausal women, one of the most important aspects to be considered after treatments for breast cancer includes the possibility of completing family plans. Although fertility preservation guidelines exist, we know from global surveys that 40-50% of practising oncologists from LMICs (Low- and middle-income countries) do not consult fertility guidelines in their daily practice. This, coupled with myths and stereotypes of cancer recurrence increase with fertility preservation strategy, creates a massive burden for cancer patients.

ESMO Fertility Preservation and Post-treatment Pregnancies in Post-pubertal Cancer Patients’ guideline provides recommendations for fertility preservation strategies in post-pubertal cancer patients, including those with hereditary cancer syndromes and high-risk groups. Current work will aim to increase awareness and answer hot topics related to fertility preservation strategies from an oncologist’s perspective.

Our teams’ and associates’ last two works have been highlighted globally recently. 1. Positive trial – (A.Partridge et al.) intermitting hormonal therapy in HR+ BC patients to achieve pregnancy and the safety of this approach; 2. A meta-analysis presented at ESMO breast and ESH-RE conference – “Safety of pregnancy after early breast cancer in young women with hormone receptor-positive disease: a systematic review and meta-analysis”. Out of 7,796 unique records identified, after applying all the inclusion and exclusions criteria, 8 studies were eligible to be included in the final analysis. A total of 3,805 patients with hormone receptor-positive breast cancer were included in this analysis, of whom 1,285 had a pregnancy after treatments.

Six studies (n=3,504 patients) reported results of OS: patients with a pregnancy after hormone receptor-positive breast cancer had better OS than those without a pregnancy (HR 0.96, 95% CI 0.75 – 1.24, p=0.781). Our results strengthen the evidence that having a pregnancy in women with a prior history of hormone receptor-positive breast cancer is safe both in terms of DFS and OS. Having a pregnancy earlier after breast cancer treatments seems to be safer. At the same time, no differences between the pregnant and non-pregnant cohort resulted if a pregnancy occurs later after breast cancer healing.

Keywords: Fertility preservation, breast cancer, oncologist perspective, ESMO guidelines, hormone receptor-positive, pregnancy safety, post-treatment outcomes

ფერტილობის შენარჩუნება ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში – ESMO გაიდლაინი და ახალი მონაცემები – ონკოლოგის ხედვა

რეზიუმე

ბოლო წლებში კიბოს მქონე პაციენტების გადარჩენადობასთან ერთად აქტუალური საკითხია სიცოცხლის ხარისხი და პაციენტებისთვის კიბოს დიაგნოზამდე დაგეგმილი ოჯახური ცხოვრების და შვილოსნობის აღდგენის პერსპექტივები. პრემენოპაუზურ ქალებში, ძუძუს კიბოს მკურნალობის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი შვილოსნობაა. ფერტილობის შენარჩუნების გაიდლაინების არსებობის მიუხედავად, ჩვენმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ განვითარებადი ქვეყნების ონკოლოგების მხოლოდ 40-50% იყენებს აქტიურად არსებულ ESMO (ევროპის სამედიცინო ონკოლოგიის საზოგადოება) გაიდლაინს ყოველდღიურ პრაქტიკაში. სტერეოტიპები დაავადების რეციდივირების რისკზე და გაიდლაინების უგულვებლყოფა უარყოფითად აისახება პაციენტებსა და მათი სიცოცხლის ხარისხზე.

ESMO ფერტილობის შენარჩუნების და მკურნალობის შემდგომი ფუნქციონირების გაიდლაინი პოსტ-პუბერტული ასაკის ონკოლოგიურ პაციენტებში გვაძლევს რეკომენდაციებს ფერტილობის შენარჩუნების უსაფრთხო და ეფექტურ სტრატეგიებზე გენეტიკური პრედისპოზიციის და მაღალი რისკის პაციენტების შემთხვევაშიც. ჩვენი მიზანია, უკეთ გავაცნოთ არსებული გაიდლაინი და ახალი კვლევები სამედიცინო საზოგადოებას და ავამაღლოთ ცნობადობა ფერტილობის შემანარჩუნებელ სტრატეგიებზე ძუძუს კიბოს მქონე პაციენტებში.

ბოლო დროის ორი განმარტებული კვლევა, რომელიც ასევე უსვამს ხაზს ფუნქციონირების უსაფრთხოებას: 1. Positive კვლევა – პარტრიჯი და კოლეგები – ჰორმონ დადებითი ძუძუს კიბოს ჰორმონოთერაპიით მკურნალობისას – თერაპიის შეწყვეტა შვილოსნობისთვის და შემდეგ ჰორმონოთერაპიის გაგრძელება უსაფრთხოა. 2. ESMO ძუძუს კიბოსა და ESHRE კონფერენციაზე წარმოდგენილი მეტაანალიზი – „ორსულობის უსაფრთხოება ძუძუს ადრეული კიბოს შემდეგ ახალგაზრდა ქალებში, რომლებსაც აქვთ ჰორმონ რეცეპტორ-დადებითი დაავადება: სისტემატური მიმოხილვა და მეტა-ანალიზი“.

გამოყვნილი 7796 შემთხვევიდან ყველა ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმების გამოყენების შემდეგ, საბოლოო ანალიზში გამოვიყენეთ 8 კვლევა. ამ ანალიზში ჩართული იყო 3,805 პაციენტი, რომლებსაც აქვთ ჰორმონ რეცეპტორ-დადებითი ძუძუს კიბო, რომელთაგან 1,285-ს ჰქონდა ორსულობა მკურნალობის შემდეგ. 6-მა კვლევამ ($n=3,504$ პაციენტმა) მოიხსენია OS (საერთო გადარჩენადობა)-ის შედეგები: პაციენტებს, რომლებსაც აქვთ ორსულობა ჰორმონის რეცეპტორ-დადებითი სარძევე ჯირკვლის კიბოს შემდეგ, ჰქონდათ უკეთესი OS, ვიდრე ორსულობის გარეშე (HR 0.96, 95% CI 0.75 – 1.24, $p=0.781$).

ჩვენი შედეგები აძლიერებს მტკიცებულებას, რომ ორსულობა ქალებში, რომლებსაც აქვთ ჰორმონ რეცეპტორ-დადებითი ძუძუს კიბოს დიაგნოზი, უსაფრთხოა როგორც DFS, ისე OS-ის თვალსაზრისით. ძუძუს კიბოს მკურნალობის შემდეგ მალე დაორსულება უფრო უსაფრთხოა, ხოლო ორსულებსა და არაორსულებს შორის განსხვავება არ არის თუ ორსულობა მოგვიანებით მოხდა, ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკებიდან გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ.

საძიებო სიტყვები: ფერტილობის შენარჩუნება, ძუძუს კიბო, ონკოლოგის ხედვა, ESMO გაიდლაინები, ჰორმონ რეცეპტორ-დადებითი, ფენმძიმობის უსაფრთხოება, მკურნალობის შემდგომი შედეგები

A REVIEW OF ESHRE AND ESMO PROTOCOLS FOR FERTILITY PRESERVATION IN ONCOLOGY PATIENTS

KVIRKVELIA EKA, Prof.

Resident of Reproductology Zhordania, Tbilisi, Georgia

Khomasuridze Institute of Reproductology, Tbilisi, Georgia

INTRODUCTION

Some treatments for malignancy, medical disorders, or gender affirmation can permanently impair reproductive function. Gonadotoxic treatments include chemotherapy, radiation, and surgical resection (for treatment of disease or gender affirmation surgery). However, with appropriate pretreatment planning and intervention, biological parenthood is possible.¹

ESHRE guideline Female Fertility Preservation

